საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 001842/10

15/04/2024

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაეცნო თქვენს 2024 წლის 8 აპრილის წერილს (სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: №1670/01, 08.04.2024) მთავრობის სარეზერვო ფონდის ფინანსური აუდიტის შესახებ.
პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესწავლას ახორციელებს თანხის მიმღები და შესაბამისად, განმკარგავი სახელმწიფო უწყების ფინანსური ან შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში. აღნიშნულ შემთხვევაში, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოყოფილია მთავრობის ადმინისტრაციაზე, რომლის ფინანსური ან შესაბამისობის აუდიტი ამ პერიოდში არ ჩატარებულა.
ამასთანავე, როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტს ახორციელებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმით, რომელიც გამოქვეყნებულია სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sao.ge). 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით, მთავრობის ადმინისტრაციის აუდიტი გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება შემდგომი წლების აუდიტორულ საქმიანობას, მოგახსენებთ, რომ გეგმის შედგენისას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხელმძღვანელობს საერთაშორისო სტანდარტებით, რომლის თანახმად, აუდიტის საგანი განისაზღვრება სისტემურ რისკებსა და პრობლემებზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაყრდნობით, რაც ითვალისწინებს შესაბამისი ინდიკატორებისა და კრიტერიუმების იდენტიფიცირების საშუალებით რისკპროფილების ფორმირებას. აღნიშნულისა და არსებული საკადრო რესურსის გათვალისწინებით, ხორციელდება შესწავლის საგნისა და აუდიტის ობიექტის შერჩევა.

პატივისცემით,

ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195